საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-129

23/02/2022

ქ. თბილისი

ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. წიწკანაანთსერში შპს „ყვარლის ბაგას“ მესაქონლეობის ფერმის ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 1.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. წიწკანაანთსერში შპს „ყვარლის ბაგას“ მესაქონლეობის ფერმის ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა № 5 (14.02.2022);
2. შპს „ყვარლის ბაგა“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №5 (14.02.2022) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ყვარლის ბაგას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ყვარლის ბაგას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყვარლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი